ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7329554

ნომერი: AR11070390

თარიღი : 16.12.2024

გაცემის თარიღი : 23.12.2024

გაცნობის თარიღი : 24.12.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლერწამი , მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე დგებუაძე პ/ნ 01017002402
- ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის 17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7256972 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 16 დეკემბერს №AR11070390 განცხადებით მომართა კონსტანტინე დგებუაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 21

ოქტომბრის №7256972 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7256972 ბრძანებით №01.17.14.003.845 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 21 ოქტომბრიდან 2027 წლის 21 თებერვლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7256972 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ბრძანებაში მშენებლობის ეტაპები არ ფიქსირდება შეთანხმებული კალენდარული გრაფიკის შესაბამისად და ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2024 წლის 01 ოქტომბრის №AR11060025 განცხადებაზე წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებული მშენებლობის ეტაპებით არ იყო გათვალისწინებული სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7256972 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტში მე-7 ეტაპად დაფიქსირებული სამუშაოები, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად აღნიშნული ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7256972 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7256972 ბრძანებაში და ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. მშენებლობის ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:
5. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა: შენობა-ნაგებობის +2.55 ნიშნულიდან +5.38 ნიშნულის რკინა ბეტონის ძირითადი კონსტრუქციების მონტაჟი;
6. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა: შენობა-ნაგებობის +8.45 ნიშნულიდან +11.52 ნიშნულის რკინა ბეტონის ძირითადი კონსტრუქციების მონტაჟი;
7. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა: შენობა-ნაგებობის +14.56 ნიშნულიდან +17.66 ნიშნულის რკინა ბეტონის ძირითადი კონსტრუქციების მონტაჟი;
8. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა: შენობა-ნაგებობის +20.73 ნიშნულიდან +23.80 ნიშნულის რკინა ბეტონის ძირითადი კონსტრუქციების მონტაჟი;
9. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა: შენობა-ნაგებობის +26.80 ნიშნულიდან +27.94 ნიშნულის რკინა ბეტონის ძირითადი კონსტრუქციების მონტაჟი;
10. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა: შენობა-ნაგებობის +33.10 ნიშნულიდან +36.20 ნიშნულის რკინა ბეტონის ძირითადი კონსტრუქციების მონტაჟი;
11. შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა;
12. არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; გარე და შიდა კედლების ბლოკით ამოყვანა;
13. შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა;
14. შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები; მიწის ნაკვეთის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამუშაოები.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7256972 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7256972 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.